შაბათი, 9 ივნისი 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 124

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყ.ველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დაბეჭვ განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ... დიდი წერილები და მოთხრობები ... პასუხისთვის საჭიროა ... მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისრი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზვედრ ფულს.

პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ნამდვილი კახური ღვინო




ძმობა

საქართველოს ვენახებიდან

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—68)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**განაზი და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქუთაისში
ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—25)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—120)

ლამბაშიძის
## სანატორიუმი
პატარა-ცემში

ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—9)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
**ახალი გამოცემა**
წერა-კითხვის საზოგადოებისა
## ფიზიკური გეოგრაფია
ს. იაშვილისა.
სახალხო და საყმაწვილო წიგნი.
სურათებით. ფასი 20 კაპ. (5—6.—4)

ახალი წიგნი
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ისტორიული მონოგრაფია
## „ამბოხება კახეთისა“
**1812 წ.**
**ა. ფრონელისა.**
ფასი ერთი მანეთი

იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ.“ იმავე ავტორისა. (20—უ.—3)

საჩქაროდ
## იყიდება

ორ-სართულიანი სახლი აქვე იყიდება ორი „ლინეისკი“ ძროხა ხბოთი. ავლაბარი თელავის ქ., № 17. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე იქვე. (2—2)

## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მ იღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების

**მაწეიძე ბუბულანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ხუიაშართვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ქამქეგოხოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ბველქიხოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. ბ. კიმთანქი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—73)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიათ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—33)

## დავკარგე

დ. ყვირილის ბუფეტის ზალაში „საფულე“, სადაც ფულის მაგი. რ იყო სხვა და სხვა ბარათები და საჭირო საბუთები, მაგალითად: პასპორტი, უფასო რკინის გზაზე მიმოსვლის ბილეთი, სხვა და სხვა რეცეფტები და მოწმობები, რაც ჩემთვის ძლიერ საჭიროა. ვინც იპოვნა, ვთხოვ დამიბრუნოს და ჯილდოდ 15 მანეთს მივცემ. თუ მე არ დამიბრუნებს სხვა და სხვა მოსაზრებით, ვთხოვ გაზ. „ისრის“ რედაქციას გ დასცეს ან გაუგზავნოს და იქ მიიღებს 15 მანეთს.

ჩემი ადრესი: დ. ყვირილა, **იაზე კობლაძეში.** 10—ლ.—2)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—71)

ქუთაისის ქალაქის
## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის 12 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა **სალორიის აგრაკში** ქალაქის საავადმყოფოს აშენების გასაცემად. ვაჭრობის დროს სამუშაოს სხვა და სხვა ნაწილი (როგორც, მაგალითად: ხის ნაწილი, ქვის, მიწისა და სხ.) ცალ-ცალკე გაიცემა. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, 10 ივნისს, 1907 წ. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მესამე საარჩევნო უბნისა „ტფილისის სოშრანიეს“ საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე; კენჭის ყრა გაგრძელდება ნაშუადღევის 4 საათამდის. იმ პირთ, რომელნიც კანდიდატთა სიაში არიან შეტანილნი და რომელთაც ყუთის დადგმა არა სურთ, უარი უნდა განაცხადონ დილის 11 საათამდის. ამ დროიდან იწყება კენჭის ყრა და შემდეგ ახალ კანდიდატების დასხელება აღარ შეიძლება. 4 საათზე დაიწყება კენჭების თვლა. (2—6.—1)

## რას აბრალებენ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას?

„ნოვოე ვრემია“-ში მოთავსებულია ის საბრალმდებლო ოქმი, რომლის ძალითაც მთავრობამ სათათბიროს მოსთხოვა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის 55 წევრის დათხოვნა და ამათგან თექვსმეტ დეპუტატის დაპატიმრება.

როგორც უკვე ვწერდით, ეს მოთხოვნილება მთავრობამ სათათბიროს წარუდგინა პირველ ივნისის სხდომაზე. პირველად სტოლიპინმა წარმოსთქვა სიტყვა, შემდეგ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა კამიშანსკიმ წაიკითხა თვით საბრალმდებლო ქაღალდი. ქაღალდი ისე შეუდგენიათ და დაუბეჭდიათ, რომ პეტერბურგში პირველ ივნისამდე ვერავის ვერაფერი გაუგია. სულ ექვსასი ცალი დაბეჭდეს და სხდომის დროს დეპუტატებს დაურიგეს. ოქმი იმოდენაა (28 დაბეჭდილ გვერდს შეიცავს), რომ, ქართულად გადმოთარგმნილს, ჩვენი გაზეთის ოთხი-ხუთი ნომერი ვერ ჩაიტევს. ამიტომ განვიზრახეთ უმთავრესი ცნობები ამოვიღოთ და შინაარსი მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს.

საქმე გამოიძია და ოქმი შეადგინა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ზაიცევმა. საქმე დაიწყო მდგომარე წლის ხუთ მაისს.

5 მაისს, სწერს გამომძიებელი ზაიცევი, „ოხრანნი“ განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ „ს.-დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ“ პეტერბურგის გარნიზონის სახელით შეადგინა ნაკაზი და ამ დღისთვის დეპუტაციას ამზადებს ს.-დემოკრატიულ ფრაქციასთვის ამ ნაკაზის გადასაცემადაო. ისიც გაიგო განყოფილებამ, რომ დეპუტაციამ ნაკაზი უნდა მიიტანოს დეპუტატ ოზოლის ბინაზე ნევის პროსპექტზე და იქ გადასცეს ფრაქციას. ამავე დღეს კაცები მიუჩინეს და ქუჩიდან თვალ-ყურის დევნა დაუწყეს ოზოლის ბინას. საღამო ჟამს ოზოლის ბინაზე ერთ ქალთან ერთად მივიდნენ და მალე ისევ უკან გამობრუნდნენ გვარდიის ეკიპაჟისმატროსი, ერთი სალდათი, ხუთი სხვა ტანისამოსს გამოცვლილი სალდათი და ერთი გარეშე კაცი, რომელსაც პოლიცია იცნობდა, როგორც სამხედრო ორგანიზაციის მომწყობელს. ასეთ აღმოჩენის გამო, პოლიცია ამავე დღეს საღამოს 8 საათსა და 40 წუთზე დაეცა ოზოლის ბინას და შეუდგა ჩხრეკას. ბინაზე აღმოჩნდა 35 დეპუტატი, წევრი ს.-დემოკრატიულ ფრაქციისა, და ორმოცამდე გარეშე კაცი. რადგან პოლიციას გამომძიებლის განკარგულება არა ჰქონდა, დეპუტატები არ გაჩხრიკა და არ დაიპატიმრა. დააპატიმრეს მხოლოდ გარეშენი. დაპატიმრების დროს პოლიციამ ნახა იატაკზე დაგდებული შვიდი შემდეგი ქაღალდი: 1. გერმანულიდან გადმოთარგმნილი რეზოლიუცია მიტინგისა, რომელიც მომხდარა ციურიხში 28 აპრილს. მიტინგს დაედგინა, შვეიცარიამ არ გასცეს კილჩიცკი, რომელსაც რუსის მთავრობა აბრალებდა ვარშავის რკინის გზის უფროსის ივანოვის მოკვლას. ამ ქაღალდს ათი ბეჭედი ეკრა სხვა და სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციისა; 2. ქიმიურ მელნით დაწერილი წერილი ვილნოდან, 30 აპრილის თარიღით, სადაც ნათქვამი იყო, რომ ვილნოდან დელეგატი არ იქნებაო; 3. ასეთივე წერილი ალმაზნო-იურიევის კომიტეტის მდივნის გლებისა. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ კავკასიის ორგანიზაციების წინდაწინვე შეთანხმებული ადრესები აღმოაჩინესო; 4. წერილი არხანგელსკის კომიტეტისაგან ამხანაგების დაპატიმრების შესახებ. ამავე წერილში კომიტეტის მდივანი ატყობინებდა, რომ მივიღეთ პირველი და მეორე წერილი ფრაქციისაო; 5. წერილი პონევეჟიდან, რომლითაც სთხოვდნენ ფრაქციას, კიდევ გამოგვიგზავნეთ ცირკულიარები უადგილოდ დარჩენილ მუშათა შესახებ, რადგან გამოგზავნილი ცირკულიარები დავხიეთო; 6. ქიმიური მელნით დაწერილი წერილი ვლადივოსტოკიდან, რომ „ნაკაზი სალდათებისა“ მივიღეთ, გამოვეცით 3500 ცალი და გავავრცელეთო; და, დასასრულ, 7. წერილი „სამხედრო ორგანიზაციის“ ბეჭედ დასმული და ამ ორგანიზაციის საფინანსო კომისიის მდივნის ხელ-მოწერილი. წერილში ნათქვამი იყო, საჭიროა ფული კონცერტის გასამართავადაო. წერილში თხოვნაც იყო ცენტრალურ კომიტეტის მიმართ—გვასესხეთ ათი თუმანი კონცერტის გასამართავადაო.

ოზოლის ბინაზე შეპყრობილთა შორის არც ერთი ჯარის-კაცი არ აღმოჩნდა.

მეორე დღეს „ოხრანნი“ განყოფილებამ სამოსამართლო პალატას წარუდგინა პირი იმ ნაკაზისა, რომელიც, პოლიციის ცნობებით, 5 მაისს დეპუტაციამ გარნიზონის სახელით ფრაქციას გადასცა. ამასთან განყოფილებამ აცნობა, რომ დეპუტაციაში იყვნენ: მატროსი ალექსი არხიპოვი, ეფრეიტორები კონსტ. კოლიასნიკოვი და ისაი ეპშტეინი და სალდათები ივანე კუტირევი და ტიმ. დოლგოვი. ყველა ესენი და აგრეთვე სალდათები კრემენსკი და პოპოვი დააპატიმრეს და შვიდ მაისს შეუდგნენ გამოძიებას. ამათ თავი დამნაშავედ არა სცნეს და განაცხადეს, სამხედრო ორგანიზაციას არ ვეკუთვნითო. ამას გარდა კრემენსკიმ და პოპოვმა გამომძიებელს გამოუცხადეს: აპრილში გავიცანით ერთი ქალი ნინო მოროზოვისა და სტუდენტი ალბერტ სოპოტნიცკი, რომელიც „ალიბეის“ სახელით არის ცნობილი. ამათ მიგვიწვიეს ერთ სახლში სალდათების კრებაზე. 23 აპრილს წავედით კრებაზე. დაესწრო ხსენებული სტუდენტი, ნ. მოროზოვისა, სამი სხვა ქალი და რვა სალდათი. ილაპარაკა სტუდენტმა. შეეხო პროპაგანდას ჯარში, იმას, თუ როგორი ლიტერატურა უნდა გავრცელდეს, რა ტაქტიკას უნდა დაადგეს ჯარი, როგორ უნდა შესდგეს სამხედრო კომიტეტები, როგორ უნდა მოიკრიფოს ფული და სხვაო.

პოპოვისავე სიტყვით, 23 აპრილს იგი ერთის სალდათის მიწვევით, საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში დაესწრო მეორე კრებას. ამ კრებაზე ყოფილან დეპუტატი გერუსი, ზემოხსენებული სტუდენტი და მოროზოვის ქალი, სალდათები კუტირევი, ეპშტეინი და ტანისამოს გამოცვლილი სხვა სალდათები. გერუს თავისი გვარი არ უთქვამს, მხოლოდ განუცხადებია, დეპუტატი ვარო. იგი პოპოვს შემდეგ ფოტოგრაფიულ სურათით უცვნია. გერუსს გამოუკითხნია სალდათებისთვის მათი ყოფა-მდგომარეობა, ის, თუ ვის დაუჭერენ მხარს სათათბიროს დათხოვნის დროს და სხვა. აგრეთვე ურჩევია—პროპაგანდა გასწიეთ, არა-ლეგალური ლიტერატურა და გაზეთები გაავრცელეთ და გაამრავლეთ შეგნებული სალდათებიო. პოპოვის სიტყვით, შემდეგ გერუსი შეხებია ნაკაზს სალდათების მხრივ და ურჩევია—ეს ნაკაზი მე გადმომეცითო. ნაკაზში უნდა იყოს სალდათების მოთხოვნილებანიო. ეს კრება დაიწყო 4 საათზე, მაგრამ ექვსზე დაიშალა, რადგან ვიღაცას დაუძახნია—პოლიცია მოდისო, და სხვებთან ერთად, პოპოვის სიტყვით, გერუსიც გაქცეულა.

5 მაისს კრება ოზოლის ბინაზე, დაპატიმრებულ სალდათების სიტყვით, ასე მომხდარა. ამ დღეს 5 თუ 6 საათზე ჯერ შეკრებილან ფონტანკაზე (№ 129) მოროზოვის ქალი, სტუდენტი სოპოტნიცკი, არხიპოვი, კუტირევი, კოლიასნიკოვი, ეპშტეინი, კაზაკი დოლგოვი, ორი სხვა სალდათი და ვიღაც ქალი, სახელად ირინა. წაუკითხნიათ უკვე შედგენილი ნაკაზი ჯარის იმ ნაწილებისაგან, რომელსაც დამსწრე ჯარის-კაცნი ეკუთვნოდნენ. ამის შემდეგ ზოგიერთ სალდათებს გამოუცვლიათ ტანისამოსი და შვიდნივე, ირინეს და სოპოტნიცკის წინამძღოლობით, წასულან ნევის პროსპექტზე, ოზოლის ბინაზე. მისვლისას სათათბიროს ერთ წევრს უკითხნია: „რა გინდათ, სალდათებოო“, რაზედაც არხიპოვს მიუცია ნაკაზი და უთხოვნია, გააკეთეთ სალდათებისთვის რაც შესაძლებელიაო. სათათბიროს წევრი მეორე ოთახში შესულა, საიდანაც პატარა ხანს უკან ისევ დაბრუნებულა სხვა წევრებთან ერთად. ერთს წაუკითხნია ნაკაზი და უთქვამს: „კარგი, ამ ნაკაზს განვიხილავთ და კომიტეტს გადავცემთო“. სათათბიროს წევრებს ისიც უთქვამთ, რომ „ეხლა გადაჭრილს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვეცდებით-კი, რაც შესაძლებელია, გავაკეთოთო. ამის შემდეგ ერთ წევრს ურჩევია სალდათებისთვის, ჩქარა წადით, რომ აქ არ მოგატანონთო. საღამოს რვა საათზე სალდათები და იმათთან მყოფნი წასულან. ორმოცი წუთის შემდეგ ოზოლის ბინა პოლიციამ გაჩხრიკა.

როდესაც არხიპოვისა და კუტირევისთვის ფოტოგრაფიული სურათები უჩვენებიათ, მათ უცვნიათ ორი წევრი სახელმწიფო სათათბიროსი—სალტიკოვი და ლოპოტკინი. მათთვისვე წაუკითხნიათ ნაკაზის პირი. სალდათებს უთქვამთ, სწორედ ეგ ნაკაზია, ჩვენ რომ დეპუტატებს გადავეცითო. ნაკაზი ამ სიტყვებით იწყება: „ჩვენა ვართ წარმომადგენელნი პეტერბურგში მყოფ ჯარის იმ ნაწილებისა, რომლებზედაც უპირველეს ყოვლისა უნდა დაემყაროს მთავრობა სახელმწიფო სათათბიროსთან შეტაკების დროს. ეს ნაწილები უნდა გადავიდნენ ხალხის მხარეს, რომ აქ, პეტერბურგში, სადაც პირდაპირა სდგანან სახელმწიფო სათათბირო და მეფის სასახლე, ხალხის საქმემ გაიმარჯვოს. და როდესაც ხალხის წარმომადგენელთ შეტაკება მოუხდებათ მეფის მთავრობასთან, ჩვენ, ჯარის წარმომადგენელთ, დიდი საქმე მოგველის: უნდა აუხსნათ სალდათებს, რა გააკეთონ. ჩვენ გავაკეთებთ ამას, გინდაც რომ ამისთვის

თავის დადება მოგვ-ხდეს. მაგრამ ჩვენი საქმე რომ კარგად წავიდეს, უნდა თქვენც, მუშების წარმომადგენლებმა სათათბიროში, ყურადღება მიაქციოთ ჩვენს განცხადებასო".

ნაკაზში ისიც არის ნათქვამი, რომ თუ მთავრობა სალდათების საქმის გამო დაითხოვს სათათბიროს, ნუ გეშინიანთ, ჯარი თქვენ მხარეს იქნებაო.

ჩხრეკის ჩამორთმევის შემდეგ, 8 მაისს კიდევ გაჩხრიკეს ოზოლის ბინა. უნდოდათ გადაცემული ნაკაზი ეპოვნათ.

საბრალმდებლო ოქმი ეხება აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას, პარტიის ტაქტიკას, უკანასკნელ კრების დადგენილებებს მუშათა და აგრარულ საკითხების შესახებ, აგრეთვე სათათბიროს მნიშვნელობის, რევოლიუციის და სხვათა შესახებ. ყველა აქედან ოქმს ის აზრი გამოჰყავს, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ერთ-ერთი ორგანიზაციაა იმ პარტიისა, რომელსაც მიზნად აქვს „სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლა, ხელმწიფის უფლების ჩამორთმევა და დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესება".

ამ მიზნის მისაღწევად, ნათქვამია ოქმში, ფრაქციამ შეადგინა და გაავრცელა სამი წერილი ამ სათაურით: „სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის კომიტეტისაგან პარტიულ ორგანიზაციების მიმართ" და ხუთი მოწოდება ხალხის მიმართ. ერთი ეხება რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორე—უმუშაობას, მესამე—დამშეულთა დახმარებას, მეოთხე—ბიუჯეტის საკითხს, მეხუთე—აგრარულ საკითხს. ოქმში დაწვრილებით მოყვანილია შინაარსი ამ წერილებისა და მოწოდებებისა.

სხვათა შორის მესამე წერილიდანა სჩანს, ვინ იყვნენ ფრაქციის კომიტეტის წევრებად და სად იყო ფრაქციის ბინა. კომიტეტის წევრებად ყოფილან: წერეთელი, ჯაფარიძე, ოზოლი, სალტიკოვი, კომარი, ბელოუსოვი და ანიკინი. როგორც ერთი მოწოდებიდანა სჩანს, ფრაქციის სარკინისგზო სექციის წევრებად ყოფილან: პრიხოდკო, ბატაშევი, სტეფანოვი, მირონოვი, შპაგინი, კომარი, ბელონოვსკი და ვინოგრადოვი. ოქმის სიტყვით, წერილებიდანვე სჩანს აგრეთვე, ვინ იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომელსაც ადგილობრივ ორგანიზაციებთან ჰქონდა მიწერ-მოწერა და ვის ეკირა საქმე ეგრედ წოდებულ „სამხედრო ორგანიზაციასთან". პირველ კომისიის წევრებად ყოფილან გერუსი, ლომთათიძე, ანისიმოვი, სეროვი და ვინოგრადოვი, მეორე საქმე ჩაბარებული ჰქონიათ გერუსს, სალტიკოვს და ლოპატკინს.

„შედეგად, ნათქვამია შემდეგ ოქმში, ფრაქციის მიერ გავრცელებულ წერილებსა და მოწოდებებს ის მოჰყვა, რომ გაძლიერდა აგიტაცია საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგრეთვე გახშირდა ფრაქციაში ნაკაზების, თხოვნების, წერილების და რეზოლიუციების გზავნა როგორც კერძო პირთაგან, ისე საიდუმლო ორგანიზაციებისა მუშათა, გლეხთა და სალდათთა ჯგუფებისაგან".

ფრაქციისა და დეპუტატების ბინების გაჩხრეკის დროს ხელთ ჩაუგდიათ 31 სხვა და სხვა ქაღალდი. აქედან ხუთი ქაღალდი შეიცავს საიდუმლო პარტიულ ორგანიზაციების ანგარიშს. არის ამ ქაღალდებში დადგენილებანი სხვა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებისა, წერილები დეპუტატებთან, თხოვნები და სხვა. ქაღალდებს უმეტეს ნაწილს ზედვე აწერია რეზოლიუციები ფრაქციისა: „გადაეცეს ამა და ამ კომისიას", „გაეგზავნოს პასუხი", „ეცნობოს ეს და ეს", „აღსრულებულ იქნას" და სხვა ამისთანებიო. როგორც ვთქვით, ქაღალდებში იპოვნეს ხუთი ანგარიში. ეს ანგარიშები ეკუთვნის: „ს.-დემოკრატიულ პარტიის ნიჟნე-ტაგილის ჯგუფს", „სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას „სპილკა"-ს (ამ ორგანიზაციის რაიონს შეადგენს კიევისა, ვოლინისა, პოდოლისა, ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიები); „ს.-დემოკრატიულ პარტიის ციმბირის ჯგუფს", „იუზოვო-პეტროვსკის რაიონის რწმუნებულთა კრებას" და „ს.-დემოკრატიულ პარტიის იმიერ-კასპიის ორგანიზაციის პირველ კონფერენციას". ამ უკანასკნელ ანგარიშში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სალდათთა კოლექტივის ხელმძღვანელობით მუშაობს, ჯარის ყველა ნაწილს მოედოო". მეორე ანგარიშში აღნიშნულია, რამდენი პროკლამაცია და მოწოდება გამოსცა ჯგუფმა, მესამეში—რა გააკეთა ადგილობრივმა კომიტეტმა და სხვა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ქაღალდებს გარდა, პროკურატურას ხელთ ჩაუგდია აგრეთვე 157 ნაკაზი. ზოგი ნაკაზი ფრაქციის სახელზეა გაგზავნილი, ზოგი—ცალკე დეპუტატის სახელზე. ზოგს ქვეშ გამგზავნელთა გვარები აწერია, ზოგს ინიციალები, ზოგზე კიდე აწერია რიცხვი, ხელის მომწერთა რაოდენობის ამღნიშნენელი. ნაკაზები, რა თქმა უნდა, სხვა და სხვა შინაარსისას. არის, სხვათა შორის, პროექტი ნაკაზისა, მიღებული ვილნოს ს.-დემოკრატიულ კომიტეტისაგან. პროექტში აღნიშნულია, რომ იგი შედგენილია საპიორთა მეორე ბატალიონისა და მესამე ბატალიონის პირველ, მეორე და მესამე როტებისაგან. ამ პროექტზე შემდეგი რეზოლიუცია ყოფილა წარწერილი: „გადაეცეს სამხედრო ორგანიზაციის კომიტეტს".

ამას გარდა, საბრალმდებლო ოქმის სიტყვით, ოზოლის ბინაზე უნახავთ რამდენიმე პასპორტი, რომელთა პატრონებიც ვერ უპოვნიათ. ორი პასპორტი ყალბი აღმოჩენილა, ხოლო ერთი—ნახევრად დამზადებული.

დასასრულ, გამომძიებელი სწერს, რომ სახელმწიფო სათათბიროს ორმოცდათხუთმეტმა წევრმა „1907 წელს პეტერბურგში, ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით, შეჰქმნეს საიდუმლო წრე, რომელმაც შეადგინა შეთქმულება, ხალხის აჯანყების შემწეობით, არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დასამხობად, ხელმწიფე იმპერატორისათვის უმაღლესს ძალის ჩამოსართმევად და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაარსებლად. ამ მიზნის მისაღწევად ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ საქმე დაიჭირა საიდუმლო საზოგადოებებთან, რომელნიც თავიანთ თავს უწოდებენ: „ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი", იმავე პარტიის „პეტერბურგის კომიტეტი". საქმე დაიჭირა აგრეთვე მრავალ სხვა ადგილობრივ კომიტეტთან. თავის მხრივ ფრაქციამ თავისი მოქმედება ცენტრალურ კომიტეტს დაუქვემდებარა, ხოლო თითონ ხელს უწყობდა ხალხის ასაჯანყებლად მზადებას. განაგებდა საიდუმლო კომიტეტებს, უგზავნიდა ამ საიდუმლო კომიტეტებს წერილებს, რომლებშიაც საიდუმლო აგიტატორებს ავალებდა, აღელვონ ხალხი მთავრობის, თავად-აზნაურობის, მოხელეების და მემამულეთა წინააღმდეგ. იმავე კომიტეტებს ავალებდა შეაერთონ და შეაკავშირონ გლეხები და სალდათები, შეჰქმნან მათგან საიდუმლო წრეები და ჯგუფები, რომ ამით ისარგებლონ მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილის უკმაყოფილებით და გამოიწვიონ შეერთებული აჯანყება ჯარისა, გლეხებისა და მუშებისა. ფრაქციამ მოუწოდა გლეხებს—შეჰქმნან კავშირები, შეუერთდნენ მუშებს და მზად იყვნენ საბრძოლველად, რომ ხელთ ჩაიგდონ მართვა-გამგეობის წესი და მერე ხალხის წარმომადგენლებს გადასცენ. ფრაქციამ საქმე დაიჭირა ერთ მავნე და საიდუმლო საზოგადოებასთან, რომელსაც აზრადა აქვს ჯარის აჯანყება და რომელიც სახელად ირქმევს „რუს. ს.-დემ. მუშათა პარტიის სამხედრო ორგანიზაციას". ფრაქცია თავის ერთი წევრის გერუსის საშუალებით 29 მაისს 1907 წელს პეტერბურგში ხელმძღვანელობდა ერთ საიდუმლო ორგანიზაციის კრებას; ფრაქციამ მიიღო ნაკაზები ვილნოსა და პეტერბურგის გარნიზონის სალდათებისაგან, მიიღო აგრეთვე პეტერბურგის გარნიზონის დეპუტაცია, რომელსაც აღუთქვა თავისი დახმარება. ფრაქცია ცენტრად გადაიქცა, სადაც თავს იყრიდა რევოლიუციონური მოთხოვნილებანი დამფუძნებელ კრების მოწვევისა და რესპუბლიკის დამყარების შესახებ. ფრაქციაში თავს უყრიდნენ საიდუმლო კომიტეტების ანგარიშებს და, ამრიგად, ფრაქცია იკვლევდა რევოლიუციონურ ძალას და შეძლებას, იწვევდა საიდუმლო კომიტეტების წარმომადგენელთა ინსტრუქციების გადასაცემად, ჰგზავნიდა თავის წევრებს მუშების უკანონო კრებებზე ამაღელვებელ სიტყვების წარმოსათქმელად და, დასასრულ, ფრაქციას ჰქონდა ყალბი პასპორტები იმათთვის, ვინც ადმინისტრაციას ემალებოდა".

პასუხის გებაში მიცემულ იქმნენ შემდეგი დეპუტატები: ალექსინსკი, ანიკინი, ანისიმოვი, ბატაშევი, ბელანოვსკი, ბელოუსოვი, ვაგანოვი, ვახრუშევი, ვინოგრადოვი, ვოლინსკი, გერუსი, გოლოვანოვი, გუბარევი, გუძენკო, ჯაფარიძე, ჯუღელი, ჟიგელევი, ზურაბოვი, იზმაილოვი, კალინინი, კანდელაკი, კაციაშვილი, კირიენკო, კომარი, კონშინი, კოსმოდიანსკი, ლომთათიძე, ლოპატკინი, მანდელბერგი, მარევი, მახარაძე, მირონოვი, მიტროვი, ნაგიხი, ნესტეროვი, ოზოლი, ი. და ე. პეტროვები, პრიხოდკო, პიარნი, რომანოვი, რუზანი, რიბალჩენკო, სალტიკოვი, სახნო, სერებრიაკოვი, სტეფანოვი, სეროვი, ტატარინოვი, ფედოროვი, ფომიჩევი, წერეთელი, რაშჩინი, შპაგინი და იუდინი. ამათ ბრალი ედებათ სასჯელთა დებულების 1 ნაწილის მე-102 მუხლის ძალით.

დაპატიმრება გადაუწყვიტეს შემდეგ დეპუტატებს: წერეთელს, კირიენკოს, ჯაფარიძეს, მიტროვს, ალექსინსკის, ოზოლს, სალტიკოვს, კომარს, ბელოუსოვს, ანიკინს, გერუსს, ლომთათიძეს, ანისიმოვს, სეროვს, ვინოგრადოვს და ლოპატკინს.

## ახალი ამბავი

✦ **სროლა ლანჩხუთში.** პეტერბურგის სააგენტოს დეპეშა შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: „ლანჩხუთში, კაზაკთა სოტნის უფროსის ბინის პირდაპირ ბოქაულს ესროლეს. ბოქაული უვნებელი გადარჩა". გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ლანჩხუთის ცეცხლი უკიდია და ბევრი სახლი იწვისო.

✦ **ყუმბარა ბაქოში.** იგივე სააგენტო გადმოგვცემს: „ბაქოში 6 ივნის დღისით ყუმბარა ესროლეს საიდუმლო პოლიციის უფროს ლევიკოვს. სროლა ასტყდა რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ლევიკოვი და მისი მცველი დაიჭრნენ."

✦ **მკვლელობა.** როგორც გუშინ ვწერდით, 7 ივნისს „პუშკინის" სასტუმროს შესავალში თავს დაეცნენ მესაათეს მარკოზ რაბინოვიჩს, სამჯერ რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ვერც დასჭრეს და ვერც ვერარა წაართვეს, თუმცა მას თან ჰქონია 1300 მან. უცნობები მიიმალნენ. გუშინ, 8 ივნისს, ხელ-ახლა დაეცნენ რაბინოვიჩს და მოკლეს. ამ დღეს დილის 10 საათზე მ. რაბინოვიჩი გამოსულა თავის ბინიდან ნიკოლოზის ქუჩაზე. როდესაც მიახლოვებია რეუტოვის ქუჩას, თავს დასცემია ორი შეიარაღებული კაცი და დაუშენიათ რევოლვერები. ერთი ტყვია რაბინოვიჩს მოჰხვედრია შუბლში და იქვე გათავებულა. უცნობნი მსწრაფლ შეხტნენ ეტლში და მიმალულან.

✦ **წინარეხის სკოლაზე.** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი ცნობა წინარეხის სკოლის შესახებ მოკლებულია სიმართლეს. წინარეხის სკოლის მასწავლებელს ეძლევა თვეში „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან" 15 მან. და სოფლისაგან 22 მ.ნ. 83 კაპ. „საზოგადოებისაგან" მასწავლებელი ჯამაგირს ყოველთვის თავის დროზე იღებს. რაც შეეხება სოფლის ფულს, მართლაც, ეს ფული ძლიერ უგვიანდება მასწავლებელს, მაგალითად წელს ჯერ იანვრის ჯამაგირიც არ მიუღია სოფლელებისაგან.

✦ **გადასახლება ჩრდილოეთში.** ტფ. გენ.-გუბერნატორის ბრძანებით, ჩრდილოეთში გზავნიან ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით: თელაველს აკოფ ფეიქრიშვილს და მატანელს მახარაშვილს (ეჭვი აქვთ, რომ ამათ მოჰკლეს ახმეტის მღვდელი უთიაშვილი); სამი წლით—გრ. როდიმოვი, რომელსაც ხანჯალი აღმოაჩნდა; ორი წლით—დაღესტნელები შაგდი-მაღომა-მუსა-ოღლი, ყურბან-მაღომაისა ოღლი და ბუჩა-ყურბან-მაღომაჲ ოღლი, რომელთაც ხანჯლები და რევოლვერები აღმოაჩნდათ.

✦ **ავადმყოფ არტისტთა სასარგებლოდ** ახხაბათიდან ქეთევან ჟურულისაგან.

გიგზავნით 24 მანეთს ავადმყოფ არტისტთა ვალერიან გუნიას და ი. კარგარეთლის სასარგებლოდ. შემომწირველთა გვარები: ქეთევან ლუარსაბის ასული ჟურულისა 3 მან. ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა 5 მან., აიბა აგაბეკოვისა 5 მან., ენერალი ხელმიცკი 3 მ., ნინო ჩუმაკოვისა 2 მ., გ. ჰონიაშვილი 2 მ., გ. ი. ბაქრაძე 1 მ., ივ. ოქრომჭედლოვი 1 მ., ა. მურვანიძე 1 მ., სტ. ბ. წვიმეტაძე 1 მ.

✦ **სტრაჟნიკის მოკვლა.** 7 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ოქრომჭედლების ქუჩაზე, მოჰკლეს ტფ. სამაზრო პოლიციის უფროსი სტრაჟნიკი ბაგატური. მკვლელებს ბაგატურის რევოლვერი წაუღიათ.

✦ **მასწავლებელ ქალის დაპატიმრება.** ამ დღეებში პოლიციამ დააპატიმრა ვერის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ქალი არვანიტაკი. არვანიტაკი მეტეხის ციხეშია.

✦ **ახალი გამომცემელი ამხანაგობა.** ტფილისში არსდება ახალი გამომცემელი საზოგადოება „მურავეიკი". საზოგადოებას აზრადა აქვს გამოსცეს სამეცნიერო და განმანათლებელ ხასიათის წიგნები. საწევრო გადასახადი 1 მანეთია.

✦ **ფურგუნის და ბოქაულის გაძარცვა.** 5 ივნისს კახეთის გზაზე ლოჭინთან, „ზ."-ს სიტყვით, ვიღაცეები დასცემიან თელავში მიმავალ, გასასყიდ საქონლით დატვირთულ ნავასარდოვის ფურგუნს და გაუძარცვავთ იგი. წაუღიათ ასი თუმნის საქონელი და წაუყვანიათ ცხენი. ამ ბოლო დროს ეტლით ერთ ს სტრაჟნიკის თანხლებით მიდიოდა სართიჭალის ბოქაული. ბოქაული ეტლიდან გადამხტარა, ატეხილა სროლა, რომლის დროსაც მოუკლავთ სტრაჟნიკი პათიაშვილი. როდესაც ბოქაულს პატრონები გამოლევია, უცნობებს იგიც გაუძარცვავთ. წაურთმევიათ 180 მანეთი, საათი, რევოლვერი და დამბაჩა. სროლის დროს მომკვდარა აგრეთვე ერთი უცნობთაგანი, რომლის გვამიც ამხანაგებს წაუღიათ.

✦ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" მეექვსე ნომერი. შინაარსი: „ეს რა ჰქენი, შე საძაგელო!" სურათი; „სპილო ამხედს ქურდს"; „პატარა მწერსაც მოხერხება ჰქონია", (რუსულიდან)—ტასოსი; „ფუტკარი და თამრო", ლექსი შ. მღვიმელისა; „ორი ბზრიალა", ფრანგულიდან, შურასი; „ნუ გვეჯღეტავთ, ბავშვებო, შეგვიბრალეთ!" ესკიზი თეოდ. ხუსკივაძისა; „ბიძია კლაუსი და მისი ერთგული მეგობრები", (აზრი გერმანულიდან) თ. ზიარელისა; „როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს. მგლის შვილები", (რუსულიდან) ა. ფ—გასი; სახუმარო გასართობი და წვრილმანი: გამოცანა, შარადა; „ქურდი", ამბავი—ედ. წერეთლისა; „გაცრუებული იმედები", (რუსულიდან) ქეთოსი; „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან", (რუსულით) ს. გორგაძისა; „უგულო ბავშვი", მოთხრობა მონგომერისა, თარგ. ედ. წერეთლისა; „ღარიბების მეგობრები", (გაგრძელება) ივ. გომართელისა; „მსოფლიო ისტორია", ერ. ლავისისა, ფრანგულიდან ალ. სარაჯიშვილისა.

✦ უკვე ვწერდით, რომ მეაფთიაქეს გეიხეს ფარმაცევტები გაიფიცნენ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ დაპატიმრებული ფარმაცევტები განთავისუფლდნენ და აფთიაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. პოლიციამ ხელ-ახლა დააპატიმრა ფარმაცევტი ვლადიმერ ლიტვინენკო.

✦ 7 ივნისს, საღამოს 5 საათზე, პოლიციელებმა დააპატიმრეს ალექსანდრე ბარტკუაშვილი, რომელიც ამ წლის დამდეგს ვიატკის გუბერნიაში გაუგზავნიათ, მაგრამ იქიდან გამოქცეულა.

✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ნავრუზ ჭუჟეინოვს, დამტამირ ბალაოღლის, ა. ვართანოვს და ა. გორანოვს.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: «უმუშევართა საბჭოს აღმასრულებელმა კომისიამ მიიღო რკინის გზის სახელოსნოში შეგროვილი ფული 55 მან. 71 კაპ., სამჭედლო ცეხიდან—27 მან. 71 კაპ., მალიაონი ცეხიდან—8 მან., ლიტეინი ცეხიდან—10 მან., სტოლიარნი ცეხიდან—10 მან., აგრეთვე მიიღო კვანტალიანის და წერეთლისაგან სამედიატორო სამართლისაგან მიკაძეზე მისჯილი 30 მან. და ერთი მანეთიც დანიელ თხილავასაგან; ყველა ზემო აღნიშნულ პირთ გულითად მადლობას უძღვნის უმუშევართა საბჭოს აღმასრულებელი კომისია.»

✦ 7 ივნისს ღამე აკიმოვის ქუჩაზე მცხოვრებ ივანე მაისურაძესთვის ვიღაცეებს 1457 მან. 60 კაპ. ნივთები მოუპარავთ.

✦ მილნი ქუჩაზე 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ტფ. მოქალაქეს შვილს ავეტიქ მირზოიანცს გამოუტანია რევოლვერი და დაუწყია თამაში. რევოლვერი გავარდნილა და მირზოიანცი თავში დაჭრილა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 5 ივნისს, საღამოს პირად, სტრაჟნიკებს მ ჰყავდათ საპყრობილეში პატიმარი, გვარად გორდეზიანი. ბულვარის მახლობლად, გორდეზიანს, [illegible] ნიკები ამხობენ, დაუპირებია გაქცევა. სტრაჟნიკებმა სროლა ასტეხეს და გორდეზიანი მოჰკლეს.

✦ 6 ივნისს გათენებისას დაატუსაღეს გუბერნატორის კანცელარიის მოხელედ ნამყოფი დურუ დადიანი, რომელიც ოცზე ცოტა მეტია, რაც სამსახურიდან დაითხოვეს.

✦ 6 ივნისს, საღამოს პირად, ვიღაც უცნობებმა რამდენჯერმე ესროლეს რევოლვერი გაღმა მხრის გოროდოვოის და სასიკვდილოდ დასჭრეს.

✦ მომავალ კვირაში დაიწყება პარკის ყიდვის სეზონი. ჩვეულებრივი მყიდველები პარკისა დიდ მზადებაში არიან. „კოლხიდა" თავის მამულში აწყობს საგანგებო მანქანას, რომლის საშუალებითაც 15 საათის განმავლობაში შესაძლებელია 60 ფუთ პარკის გახმობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პარკის საქმეში, რადგან ჩვეულებრივის წესით პარკის გახმობას ორი თვე უნდა და ეს, რასაკვირველია, აგვიანებს პარკის განაღდებას. პარკის მოსავალი წრეულ კარგია და ამასთან კარგი ფასებიც ექნება. უმეტეს ნაწილს ვაჭრებისას ერთი ნაწილი პარკისა წინდაწინვე გაყიდული ჰქონიათ ხელსაყრელ ფასებში. კერძოდ „კოლხიდა" უკანასკნელ ხანებში დიდ უნარს იჩენს საქმიანობისას. წრეულ გაზაფხულზე ამხანაგობამ ჩაჰყარა ამერიკულ ვაზის სანერგე ქუთაისსა და ზესტაფონში, ხელახლად გადააკეთა პარკის ფრდული თავის მამულში, სადაც ღვინის სარდაფიც მოაწყო. გარდა ამისა, ამავე მამულში ხეხილისა და დეკორატიულ ხეების სანერგე გააკეთა და ეხლა პარკის ყიდვას მზადებაშია.

✦ ქალაქის საბჭომ ორი სხდომა მიანდომა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ხარჯთა შორის შეამოკლა ის ხარჯი, რომელიც მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად იყო გადადებული. ამავე სხდომაზე ხმოსანმა ნაზაროვმა საყვედურსავით უთხრა საბჭოს, რად გამოაქვეყნეთ იმ მოქალაქეთა სია, რომელთაც გადასახადი არ შემოუტანიათო. საბჭოს წევრს ი. ფანცხავასა და ექიმ ნაზაროვის შორის ამ საგანზე ცხარე ბაასი გაიმართა. საბჭომ გამგეობის მოქმედება მოიწონა.

✦ ამ დღეებში გამოაცხადებენ გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებას, რომლითაც აიკრძალება გამოქვეყნება და გავრცელება ისეთ წერილებისა და ცნობებისა, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგ მტრულ გრძნობებს აღძრავენ ხალხში და სხვა.

✦ 5 ივნისს საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე დამტკიცდა ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა, თანახმად გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებისა. ხარჯთ-აღრიცხვით ბანკის ხარჯად გადადებულია 56.593 მან. 28 კაპ. ამას გარდა რწმუნებულთა კრებამ გადასდო: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შესანახავად 50.970 მანეთი და ამავე გიმნაზიის სენაკის განყოფილებისათვის 6004 მანეთი; 2. ქართულ გიმნაზიის 4 მასწავლებელს, რომელთაც 20 წელიწადზე მეტი უმსახურნიათ—1300 მანეთი ჯამაგირის გარეშე; 3. საავადმყოფოსა და წყლის საყვანის მოსაწყობად სამეურნეო სასწავლებელში—2000 მანეთი. ამასთან რწმუნებულთა კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ სამეურნეო სასწავლებელში ქართულ ენის სწავლა უკეთ მოეწყოს, ვიდრე ეხლა არის. კრებამ დაავალა აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციას ყოველ წლიურ ანგარიშის წარდგენა სკოლის საქმეთა მსვლელობის შესახებ; 4. „წერა-კითხვის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად"—600 მანეთი, 5. უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას—200 მანეთი; 6. განსვენებულ ალ. ნანეიშვილის ობლებს ეპატიეთ ბანკის ვალი 2500 მანეთი; 6. კრებამ გამგეობას დაავალა, რომ თავ. დავით ნიჟარაძის ჯილდოდ გადადებული 10.000 მანეთი შეძლების და გვარად ვადაზე ადრე მისცეს. და 7. ქალთა გიმნაზიის სასარგებლოდ გადაიდო ჩვეულებრივი თანხა და მასთან ზედამხედ-

ველი კომიტეტის წევრს ი. ოცხელს დაევალა იმის გაგება, თუ როგორ არის დაყენებული ქალთა გიმნაზიაში ქართული ენის სწავლება. ამავე დღეს კრებამ გადასდო 500 მანეთი; ეს ფული მიეცეს თ. დ. ანდრია ერისთავს იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც მან გასწია პეტერბურგის წასვლაზე სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევის დროს.

6 ივნის დასრულდა ბანკის რწმუნებულთა კრება. ამ დღეს, სხვათა შორის, მოხდა არჩევანი ბანკის მოსამსახურე პირებისა. დირექტორად კენჭის ყრით (57 ხმით წინააღმდეგ 9 ხმისა) აირჩიეს ბ-ნი ივანე ჯაიანი, ზედამხედველ კომიტეტის ორმა წევრმა დავით ლორთქიფანიძემ და დავით მდივანმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს და მათ მაგივრად ერთხმად უკენჭოდ არჩეულ იქნა თავადი სვიმონ წერეთელი და 46 ხმით 20 ხმის წინააღმდეგ დავით ბაქრაძე.

## საჭირო გახსენება

Дай Богъ намъ болѣе журналовъ,
Плодятъ читателей они.
А. Пушкинъ.

ბოლო დროს, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიზარდა და წელში გაიმართა, საზოგადოება უფრო ჰგრძნობს სერიოზულ ჟურნალის უქონლობის ნაკლს. სამწუხაროდ, ერთად-ერთი ქართული ჟურნალი „მოამბე“ დიდი ხანია აღარ გამოდის. უკვე გამოფხიზლებულ ცნობის მოყვარეობა ქართველ ერისას და მის წყურვილს ცოდნისას, აშკარაა, ვერ დააკმაყოფილებს სხვა და სხვა ყოველ დღიური გამოცემა, მით უფრო ეხლა, როდესაც ასეთი დას-დასობანაა. ამ ორმოცის წლის განმავლობაში არ გვახსოვს ჩვენს ლიტერატურაში ასე გაღვიძებულ კითხვისა და ცოდნის სურვილთან, ესოდენი აზრთა სხვადა-სხვაობა. ასეთ მდგომარეობაში საზოგადოებისათვის სწორედ უკვდავების წყარო იქნებოდა სერიოზული, დინჯი, დალაგებული, ათას სხვა-და სხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მიმართულების გამრჩეველი ჟურნალი, მაგრამ სად არის. აგერ დღესაც გათენდა და დაღამდება და ამ ხალხის სულიერ წყურვილის მომკვლელ უკვდავების წყაროს აღმოსახეთქად კვერთხის დამკვრელი მოსე კი არსად სჩნდება.

ამ ნაკლს შევსება უნდა და რაც ადრე იზრუნებს და იფიქრებს ამისათვის მესვეური, განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, მით უკეთესია. აქავე არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ერთი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა. იყო დრო, რომ ქართული საყმაწვილო ლიტერატურა პირველ დაწყებით ანბანსა და „მოდი ვნახოთ ვენახს“ არ გასცილებოდა. ქართველ ბავშვს საბავშვო წიგნი, გასართობი, გონების მასწავლებელი, ცოდნის შემძენი არ მოეძებნებოდა და თუ ჰპოვებდა სადმე რამე, იმასაც გაუკულმართებულნი დედანი შორს უმალავდნენ ბავშვებს, რომ ამ საშუალებით სხვათა, მათის აზრით, ცხოვრებაში უფრო გამოსადეგი, ენა უკედ შეესწავლებინათ. ჩაილულის წყალი დალია ამ მახინჯმა აზრმა, შეცდომის ნიადაგზედ აღმოცენებულმა. ეხლა ვგონებთ ჩვენი დედანიც მიჰხვდნენ, რომ უკეთესი მასწავლებელი და განმავითარებელი გონებისა სამშობლო ენის შემწეობით შეძენილი ცოდნაა.

ამ მხრივ, ღვთის მადლით, ჩვენს ბავშვებს არა აკლიათ რა და ჩვენ ჟურნალს მოკლებული „წვერ-ულვაშიანი თაობა“ სრულიად ჩამორჩენილია სამშობლოს მომავალ იმედს. საყმაწვილო ჟურნალმა ქართველთა შორის მაგრად მოიკიდა ფეხი და ეს გარემოება საუკეთესო და დიდად საიმედო მერმისის მახარებელია.

არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, სხვათა შორის ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც ჩვენს ბავშვებს, უმცროსთა და უფროსთ, თვეში სამჯერ სასიამოვნო სტუმრად დაუკაკუნებს ხოლმე კარებს. უნდა ნახოთ, რა სიამოვნებით ეგებებიან, რა ხალისითა კითხულობენ და სინჯავენ ამ ჟურნალს პაწია ბავშვები, რომ ჭეშმარიტის მადლობით აივსოს თქვენი გული მის მუშაკთა და გამომცემელთა მიმართ. სამართლიანობა გვაკისრებს ვაღიაროთ, რომ როგორც გამოცემა, ისე რედაქცია ჟურნალისა წუნ-დაუდებელია: მშვენიერი ქაღალდი, საგანგებოდ შერჩეული და ბავშვის წლოვანების შესაფერი წერილები და ლექსები, გემოვნად დასურათხატებული, საუკეთესო ქაღალდი გამოცემისა და, რასაც უჩვეულოა ჩვენი მკითხველი, თავის დროზედ მიწოდება მკითხველისათვის თვეში სამის, საკმაოდ მოზრდილის, წიგნისა.

არ ვიცით, რამდენი მკითხველი ჰყავს ამ ჟურნალს და რამდენად არის იგი გავრცელებული, მხოლოდ უნდა ვთქვათ, რომ ყოველ ქართველ ოჯახის ზნეობრივს მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ ჟურნალის თავის პაწიებისათვის გამოწერა. უკეთესს საჩუქარს ვერას შესძლებენ თავიანთ შვილებს, თუ იმათის სიკეთისა და ბედნიერების შეგნება აქვთ. თუ ჟურნალის გამრავლებას ნატრობდა რუსთა დიდებული მწერალი მკითხველთა გასამრავლებლად, მით უფრო სასურველია და სანატრელი საყმაწვილო ჟურნალის გავრცელება, რადგან მხოლოდ იგი შექმნის გონებ-ჯანსაღს და ახალ თაობას.

**ერთი მამათაგანი.**

## შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

6 ივნისს თავმჯდომარემ განსახილველად დააყენა საკითხი «ნაკაზის» შესახებ.

**გ. ზდანოვიჩი.** საბჭოსათვის «ნაკაზს» წარმოადგენს მრეწველთა კრების დადგენილება და საგანგებო ნაკაზი უმნიშვნელოც არის და მიზანს ვერ მიაღწევს. რაც შეეხება ინსტრუქციას მოსამსახურეთათვის, ჩვენ უმთავრეს საქმეებს, ტეხნიკურ განყოფილებას და საავადმყოფოს, განაგებენ უმაღლეს სწავლით აღჭურვილი კაცები, მათი თანამშრომლებიც შეგნებული ხალხია და ასეთ პირობებში ამ დაწესებულებებს ავტონომიური თვითმართველობა უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. გარდა ამისა ჩვენს მოსამსახურეებს აქვთ თავიანთი კორპორაცია მოსამსახურეთა ბიუროს სახით და ამ ბიუროს მივმართეთ, ინსტრუქცია შეედგინა და ჩვენთვის წარმოედგინა განსახილველად.

**იოსებ გაგაბაძე.** ინსტრუქცია ისეთ მოსამსახურეთათვის იწერება, რომელნიც ნდობას ვერ გაამართლებენ და ეს საქმე მათ იმიტომ დაემართათ, რომ ხელმძღვანელები არ უვარგათ.

**ბარ. მოსეშვილი.** ინსტრუქცია როგორც საბჭოსათვის ისე მოსამსახურეთათვის არის საჭირო, რადგან უამისოდ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ საბჭო მრეწველთა თხოვნას არ ასრულებს და თუ საბჭოს მოვალეობა და უფლება ინსტრუქციაში აღნიშნული იქნება, ეჭვი არ არის, ასეთი შემთხვევა აღარ მოხდება. მოსამსახურენი უფრო საჭიროებენ ინსტრუქციას, რადგან უმეტესი მათგანი ისე ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც ესმის; მაგალითად, საავადმყოფოს გამგე წელიწადში 5 თვეს თუ დაჰყოფს ჭიათურაში, თორემ სხვა დროს სხვაგან არის.

ექიმი ჯაფარიძე პროტესტს აცხადებს მოსეშვილის სიტყვების შესახებ და ამბობს, რომ თუ ის ხანდახან ჭიათურაში არ არის, ეს იმისი მიზეზია, რომ საბჭო ქუთაისშია და არა ჭიათურაში და სამსახურის გამო მოდის ქუთაისში.

**თავმჯდომარე.** (მოსეშვილს). თქვენ არჩეული იყავით იმ კომისიაში, რომელსაც ინსტრუქცია უნდა შეედგინა და რატომ არ შეასრულეთ მინდობილება?

**ბარ. მოსეშვილი.** თავმჯდომარე არ ჰყავდა კომისიას და არავინ მიგვიწვია.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს საბჭოსა და მოსამსახურეთათვის ინსტრუქცია და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს მიმდინარე კრებას. კომისიაში აირჩიეს: ი. ლორთქიფანიძე; ბარ. მოსეშვილი, ს. ქვარიანი და ინჟენერი ავდეევი.

საავადმყოფოს შესახებ ზდანოვიჩმა განაცხადა, რომ სარევიზიო კომისიის მიერ გამოთქმული სურვილები საგულისხმოა და თუ საბჭომ ვერ მოაწყო სასურველად საავადმყოფო, ამისი ბრალი უსახსრობაა და არა გულმაკითობა.

**ინჟენერი ავდეევი.** დღეს ვიყავი თოფურიასეულ საავადმყოფოში, რომელმაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება იქონია. ჩემის ფიქრით, ქირურგიული განყოფილება ჭიათურაში მეტია, მით უმეტესად ჩვენის საავადმყოფოს მისავალი გზა ისეთია, რომ ქუთაისში გამოგზავნა ავადმყოფისა უფრო ადვილია, ვიდრე იქ აყვანა.

**გ. ზდანოვიჩი.** ინჟენერი შემთხვევით წასულა საავადმყოფოში, რომელიც მას მოსწონებია და არც აცივა არც აცხელა და წინადადებას გვძლევს, ქირურგიული განყოფილება საჭირო არ არისო. მრეწველთა კრებას და საბჭოს ქირურგიულ განყოფილების მოწყობის შესახებ არა ერთხელ ჰქონია სჯა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ იგი საჭიროა.

**ექიმი ჯაფარიძე.** ქირურგიული განყოფილება საჭიროა, საჭიროა აგრეთვე, რომ საზოგადოდ საავადმყოფო გაფართოვდეს, რადგან დღეს მოთხოვნილებას ვერ ვკმაყოფილებთ.

**კიტა აბაშიძე.** საბჭო, რამდენადაც-კი საშუალება ნებას აძლევს, აუმჯობესებს საავადმყოფოს და თუ თოფურიასეულმა საავადმყოფომ კარგი შთაბეჭდილება იქონია ინჟ. ავდეევზე, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ იგი 15 წელიწადია, რაც არსებობს.

შემდეგ ამისა, როცა კრება შეუდგა იმის განხილვას, თუ რა ესაჭიროება საავადმყოფოს, ექიმმა ჯაფარიძემ შეიტანა წინადადება, რომ გარეშე ავადმყოფთაგან მიღებული ფული მოხმარდეს თვით დაწესებულების გაუმჯობესებას. ამ გარემოებამ კრება აადგინა საგანს და ბაასი შეეხო იმ ფულს, რომელიც საავადმყოფოს მოსამსახურეებს მიუღიათ და საბჭოს კასაში არ წარმოუდგენიათ. ამ გარემოებამ გაამწვავა ბაასი, რომლის დროსაც გ. ზდანოვიჩმა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოქმედებას „ფულის გაფლანგვის» სახელი უწოდა.

**ინჟენერი ავდეევი.** თუ ეგ გაფლანგვაა, მაშინ მეც უფლება მაქვს ვთქვა, რომ საბჭომაც გაფლანგა ფული.

**ს. მდივანი.** ინჟენერმა ავდეევმა მეტად მძიმე ბრალი დასდო საბჭოს და მე ვითხოვ, რომ საქმე გამოირკვეს.

**ინჟ. ავდეევი.** საბჭომ მრეწველთაგან მიიღო 10% იმ ფულისა, რომელიც დაზარალებულ მუშებს ერგებოდა და ეს ფული მუშებს თავის დროზე არ გადასცა. ასეთი მოქმედება მე გაფლანგვად მიმაჩნია, თუ რასაკვირველია, საავადმყოფოს მოსამსახურეთაგან ფულის წარმოუდგენლობა გაფლანგვათ იქნება წოდებული.

ლაპარაკის მსურველი მრავალია, თავმჯდომარე ლაპარაკის ნებას არავის აძლევს, ექიმი ჯაფარიძე ცხარედ ელაპარაკება საბჭოს ბუღჰალტერს კრინიცკის, სიტყვას ითხოვს გ. ზდანოვიჩი.

**გ. ზდანოვიჩი.** ინჟენერ ავდეევის ახსნა, თუმცა ნამალადევია, მაგრამ მაინც ბოდიშია იმ სიტყვებისათვის, რომელიც მას წამოსცდა. გუშინ ინჟენერმა ავდეევმა თავისი თავი მუშათა ინტერესების დამცველად დასახა და დღესაც იმავე მუშების სახელით, მოუფიქრებლად მომაკვდინებელი ბრალი დაგვდო. კასაში მილეთი ხალხის ფული შემოდის და საბჭოს უფლება აქვს ეს ფული სხვა და სხვა საჭიროებისათვის დახარჯოს და, როცა კაცი ასეთ მოქმედებაში „გაფლანგვის» ნიშნებს ჰხედავს, ეს იმის მომასწავებელია, რომ მან არ იცის, რასაც ამბობს.

კიკვაძე ითხოვს, რომ ექიმმა ჯაფარიძემ საავადმყოფოს მოსამსახურეთა მხრით თავი იმართლოს ბრალდებაში. ჯაფარიძე ლაპარაკს ლამობს, თავმჯდომარე ნებას არ აძლევს, კრების წევრთა შორის წესრიგი ირღვევა.

თავმჯდომარე კრებასა ხურავს და აცხადებს, რომ იგი განახლდება 7 ივნისს 10 საათზე.

## დაზარალებულთა სასარგებლოდ

გიგზავნით ჩემ მიერ შეგროვილს ექვს თუმანს გაჭირებულ გურულთა ოჯახების სასარგებლოდ. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ. ამასთანავე გულითად მადლობას უცხადებ შემომწირველთ: უცხოელთ გურულთა მეგობრებისაგან 20 მ., რ. ი. არწივისაგან 10 მ. ა. ა. ც—ლისაგან 5 მ., უცნობისაგან 25 მ.

**ოლღა მირზაშვილი**

—

ვთხოვ რედაქციას 113 მ. 95 კ. ყარსის ქართველების მიერ გამართულ კონცერტიდან შემოსული, გადასცეს კნ. გრუზინსკისას ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა სასარგებლოდ. ამ ფულის დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ ერთხელ იყო გამოგზავნილი, და უკან დაგვიბრუნეს, რადგან მივწერეთ შემდეგი: „ქუთაისის დამშეულ ქართველების სასარგებლოდ“. ეხლა მეორედ ვგზავნით და ვწერთ: „ქუთაისის გუბერნიის დაზარალებულ ქართველთ სასარგებლოდ“.

სულ წარმოდგენიდან და შემოწირულებიდან შემოვიდა 137 მ. 80 კ., ხარჯი იყო 23 მ. 85 კ., დარჩა 113 მ. 95 კ.,

**მარიამ კიკნაძისა**

—

გიგზავნით 13 მ. 10 კ., და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას დამშეულ მეგრელების სასარგებლოდ. ეს ფული შეიკრიბა სადღესასწაულო სუფრაზედ და, ეჭვი არა გვაქვს, რომ, თუ დიდს ნაწილს დამშეულებისას არა მცირე ნაწილს მაინც დააპურებს.

სუფრის მონდობილებით **ლომინ გუნცაძე**

—

ამას გარდა ჯიბრაილიდან დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ ი. მ. დუმბაძისაგან მივიღეთ ორი მანეთი.

## პროვინციის ცხოვრება

**ძველი სენაკი.** 27 მაისს მორიგმა კრებამ სენაკის მეაბრეშუმეთა სამრეწველო ამხანაგობისამ, რომელიც დაარსებულია ნდობაზე 1897 წელს, განიხილა 1905—1906 წ. ანგარიშები, საიდანაც სჩანს, რომ ამხანაგობას ჰყავს 280 წევრი 2825 მანეთის საწევრო ფულით. ამ ცხრა წლის განმავლობაში ამხანაგობის ზრდა გამოიხატება ნაღდ ფულსა და უძრავ-მოძრავ ქონებაში, რომელიც უდრის 7424 მ. 79 კ. 300 მანეთამდე დივიდენდი უკვე დაურიგებია გამგეობას, ასე რომ 2825 მ. თავნიდან ამხანაგობა გაზრდილა 7724 მ. 79 კ. ამხანაგობის მმართველად კრებამ ერთხმად აირჩია ისევ პოლიკარპე ლორთქიფანიძე. მოადგილე არჩეულ იქნა ანდრია ლევანის ძე ქავთარაძე, ხოლო მდივნად მისა ბ. ჩხეტია. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ყოფილი წევრი კომისიისა თ-დ გიორგი ჩიჩუა, ხოლო წევრებად ფოთოლი თ. გერსამია და ალექსი ჭანტურია. მმართველის წინადადებით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს და დაამტკიცებინოს მთავრობას ახალი წესდება ამხანაგობისა, ნაცვლად იმ ნოტარიალად ხელშეკრულობისა, რომლითაც დღემდე ხელმძღვანელობდა ამხანაგობა. დასასრულ კრებამ 100 მანეთი შესწირა „ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოებას“ და 50 მან. ადგილობრივ სამინისტრო სკოლის ქალთა განყოფილებას.

—

**ს. ბაღდადი** (ქუთაისის მაზრა). 22 მაისს, როგორც უკვე იყო მოხსენებული „ისარ“-ში, ბაღდადის საზოგადოებას ეწვია ქუთაისის გუბერნატორი და მაზრის უფროსი ამალითურთ. მამასახლისმა პურ მარილი მიაგება, რაო—და კურთხეულიმც იყოს მობრძანება თქვენი განსამტკიცებლად ბრძანებისა ჩემისა ბეჩავ ხალხსა ზედაო, რისთვისაც მადლობა ებრძანა. შემდეგ გუბერნატორი მიუბრუნდა დიდის წყრომა-კრულვით ხალხს, მოიგონა 1905 წლის მოძრაობა—მართალია იმ თავხედობისთვის შესაფერი სასჯელი მიიღეთ (ალიხანოვის დრო), მაგრამ უარესს ელოდეთ, თუ კიდევ გაგიბედნიათ და კრინტი დაგიძრავთ მთავრობის საწინააღმდეგოთ. ან კი რა გაქვთ საწინააღმდეგო, როდესაც მთავრობის უმთავრეს საზრუნავს თქვენ, გლეხები, და თქვენის მდგომარეობის გაუმჯობესება შეადგენსო... ხალხის დაგვლებით ს. ბ—შვილმა გააგებინა გუბერნატორს, რომ აქ შიმშილობის გამო გაჭირვებული, აუტანელი მდგომარეობაა, მაგრამ გუბერნატორმა არ დაიჯერა. სთხოვეს აგრეთვე აბასთუმნის ძველ გზატკეცილზე მდ. ხანისწყალზე ხიდის გაკეთება. წინად მთავრობა აკეთებდა ამ ხიდს, რომელიც დიდ საჭიროებას შეადგენს რამდენისამე სოფლის საზოგადოებისთვის. აძარით შეამდგომლობა, მეც ვეცდები და შეიძლება ხე ტყის მასალით დაგეხმაროთო. ორი აზნაური გაუდახოთ საერობო დარაჯებს, რადგან გზის შესაკეთებლად არ გასულიყვნენ. ეს ამბავი შესჩივლეს გადასახლებმა გუბერნატორს, რომელმაც იქვე შეამოწმა და რადგანაც არსად ტანზე ნაცემი არ აღმოაჩნდათ, უყურადღებოთ დასტოვა. ძალიან თავზარ დაცემულნი არიან ჩვენი „კეთილშობილები“, რომ გლეხებს უნდა ამოუგვიყენონ გვერდში და გააკეთებინონ გზები. მოგვცლას, რომ ვინმემ შემოუკადროს გზის სამუშაოზე გასვლაო, ბრძანებენ ესენი.

რეაქციის წყალობით ზოგიერთი მემამულენი გათამამდნენ და გაიმართნენ წელში. ვინ იცის, რას არ ემუქრებიან ხალხს, თუ ახალ პირობებში მოითხოვეს ყანების ადება. თუ ჯიუტობა გაგვიწიეთ, აგვახრებენო. ახალ პირობებით რომ ექვს მანეთად ჰქონდა გაცემული ქცევა საყანე ადგილი, წრეულს თხუთმეტ მანეთ ნაკლებ არ უთმობს ანანოვი გლეხებს, მასთან რომელიც საუკეთესო საყანე ადგილებია და რწყვა არ ჭირდება, მაგ. „ჯინჭაროული“ ჯოგის საბალახოთ მიაქირავა ყასბებს. გუბერნატორი რომ მოვიდა, ანანოვი გვერდით ამოსჯდომოდა ეტლში...

უსიმინდობით ხალხი დიდ წამებას განიცდის. ფუთი სიმინდი, ისიც ნახევრად მტვერი, 1 მან. 20 კაპ. ფასობს. საშინელი გვალვები იყო. ხალხი დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, საყანე ადგილების დიდი უმეტესობა დაუთესელია და რაც დათესეს, ისიც ნახევრობით გააქრო ქარ-სიცხემ. ს. დიმში სადმრთოთ გადაიხადეს წვიმა მთავლესო. შემდეგ დიდი სმა-ჭამა გამართეს. მაღლარ კრახუნის ღვინის ზედ გავლენით ერთმანეთისაც კი წაუთრეს თავში; მღვდლის ცხვრის სათიბლოებში და ხეჯაშერეთი აწყვეს ხურჯინები, მაგრამ ძმა-დაკლაცვილმა ზეცამ არ შეიწყნარა ასეთი უხვი მსხვერპლი და არ გამოიმეტა წვიმა.

მთავრობამ ამ რამდენისამე წლის წინად ბაღდადში საათის ქარხანა მოაწყო ... ქალი საკუთრად შენობა ... კერძო სახლში წრეულს კი ბაღდადის სასოფლო საზოგადოებამ, რომელიც 11—12 სოფლისაგან შესდგება, დაადგინა საკუთარის ხარჯით აგოს ხსენებულ საავადმყოფოსთვის შენობა. შენობის გეგმა უკვე მზად არის. 20,000 მანეთამდის დაუჯდება საზოგადოებას მისი აშენება, მაგრამ ნამეტანი მეტად და ლამაზი შენობა იქნება. მდ. ხანისწყლის პირად ბაღდადში ანანოვს აქვს მშვენიერი ადგილი. საზოგადოებამ სთხოვა ანანოვს ამ ადგილიდან ჩამოეჭრა ერთი ქცევა ქარხნის ასაგებად უფასოდ ან ნახევარ ფასად მაინც, მაგრამ ცივი უარით გამოისტუმრა გაუმაძღარმა მემამულემ ხალხის მოციქულები. ბოლოს საზოგადოებამ ბევრი მიწევ-მოწევის შემდეგ აირჩია ქცევა ნახევარი ეკო კ. ფურცელაძისა, რომელმაც ნახევარ ფასად დაუთმო ყოველ გვარი ხარჯი ქარხნის ადგილის შესაძენად და შენობის ასაგებად გაიწერეს ხალხზე ხალხისვე არჩეულ პირებისაგან შეძლებისა და გვარად.

ქ-ნმა დადიანისამ (ახლად დანიშნულ მსაჯულის მეუღლე) მოვლისთანავე ყურადღება მიაქცია ბაღდადში საქალებო სკოლის უქონლობას. დაარსა საშინაო სკოლა, სადაც თითონ ასწავლის ბეჯითად და გულმოდგინედ. ჯერ-ჯერობით 25 მოსწავლე ქალია სკოლაში. მომავალ სექტემბრიდან სკოლაში პროფესიონალური სკოლის პროგრამა იქნება შეტანილი. ქ-ნ დადიანისას უნდა ხსენებული სკოლა ქალთა პროგიმნაზიად გადააკეთოს, რის მეცადინეობასაც კიდეგაც შესდგომია.

**ძე.**

## მუშების ცხოვრება

**„კახეთის“ საზოგადოება.** 7 ივნისს „კახეთის“ საზოგადოების გამგეობამ და საქმის მომწესრიგებელმა კომისიამ მოიწვია ამავე საზოგადოების მოსამსახურენი მოსალაპარაკებლად. გამგეობის თავმჯდომარემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რისთვის ითხოვენ მუშებს. თავმჯდომარე შეეკითხა მოსამსახურეებს, თუ ვის მხარეს დაიჭერენ: მუშებისას, თუ გამგეობისა და კომისიისას. ამ კითხვის პასუხის მისაცემად მოსამსახურეებმა ითხოვეს, დაეტოვებინათ ისინი ცოტა ხნით მარტონი. დარჩნენ რა მარტონი, ვრცლად შეეხნენ მუშებსა და გამგეობა-კომისიის შორის მომხდარ კონფლიქტს და კარგა ხნის სჯა-ბაასის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც დიდი ხმის უმეტესობით იქმნა მიღებული: „ვინაიდან კომისია და გამგეობის უკანასკნელი მოქმედება მუშებისადმი უსამართლო იყო, ამიტომ ჩვენ („კახეთის“ მოსამსახურენი) თანაუგრძნობთ მუშებს და წინადადებას გაძლევთ მომხდარი კონფლიქტი დაამთავროთ მშვიდობიანის მოლაპარაკებით“.

ეს რეზოლიუცია წარუდგინეს გამგეობასა და კომისიას. მეტად არ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ საზოგადოების საზოგადო კრების მიერ არჩეულ მდივნის ვ. მჭედლიშვილის აზრი. იგი სავსებით მხარს არ უჭერს მუშებს და მოსამსახურეების ზემო მოყვანილ რეზოლიუციას. მან შეიტანა შემდეგი თავისი რეზოლიუცია კომისიის და გამგეობის მოქმედებაზე: „რადგანაც გამგეობის და კომისიის უკანასკნელი წინადადება მუშებისადმი იყო აჩქარებული და პირდაპირ გამამწვავებელი საქმისა, ამიტომ პროტესტს უცხადებთ ამგვარ მოქმედებას და წინადადებას გაძლევთ მომხდარი კონფლიქტი დაამთავროთ მშვიდობიანის მოლაპარაკებით“.

**დამსწრე.**

## ცრუილს მოკლე ფეხები აქვს.

**(პასუხად ივანე ხანდამაშვილს)**

„ისარის“ გუშინდელ ნომერში (№ 123) დაიბეჭდა წერილი ივანე ხანდამაშვილისა „ციხის მერცხლის“ საპასუხოდ. ამ წერილში ავტორი სთხოვს „ციხის მერცხალს“, ფსევდონიმი აიხადე, შენი ნამდვილი გვარი გამოაცხადე და საამხანაგო სამართალში გამომყევიო. ორივე ამ მოთხოვნაზე ეჭვს გარეშეა, თითონ „ციხის მერცხალი“ თავის დროზე გასცემს პასუხს. ამ ჟამად კი მე, როგორც ამ საქმეში მონაწილეს, მსურს დავადასტურო ის, რაც „ციხის მერცხალმა“

გამოაშკარავა და რის დამალვასაც ასე უსირცხვილოდ ლამობს ივანე ხანდამაშვილი.

საქმე ამნაირად იყო. ერთი ტუსაღთაგანი სახელდობრ, გაბო, შემთხვევით ზედამხედველის ოთახში შევიდა და დაინახა, რომ იქ ივანე ხანდამაშვილს ხელში ეჭირა „ისრის“ მე-118 ნომერში მოყვანილი არზა—„დანთასი“. გაბომ ხანდამიშვილის მიერ ხელ-მოწერილი არზა, შედგენილი დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორის დიკის სახელზე, შემოიტანა ციხეში და გადასცა ამხანაგებს, რომელთაც მაღე საამხანაგო სასამართლო დანიშნეს. მედიატორებად არჩეულ იქმნენ: გაბო, ჭანდიჭვრელი რიჟა და მღვდელი სვ. წერეთელი. გამოძიების დროს მღვდელმა სვ. წერეთელმა განაცხადა, ჩვენ მართალია აზრადა გვქონდა თხოვნის მირთმევა, მაგრამ არა ამნაირის შინაარსისა; ივანე ხანდამაშვილს ესეთი თხოვნა ჩემს დაუკითხავად შეუდგენიაო. სამედიატორო სასამართლომ მსჯელობა იქონია ამ საზიზღარ საქმეზე და დაადგინა: არზის შინაარსი გამოეცხადოს ორსავე პარტიას—სოციალ-დემოკრატებს და სოც.-ფედერალისტებს, მაგრამ სასამართლომ რამდენისამე ხნის შემდეგ ასეთი დადგენილება ძალიან სასტიკადა სცნო, რადგან, ამასთანა საქციელის გამო, ადვილი შესაძლებელი იყო მატერიალური დახმარება აღარ აღმოეჩინათ ხანდამაშვილისთვის. ამ მოსაზრებით, სამედიატორო სასამართლომ უარჰყო თავისი პირველი დადგენილება და გადასწყვიტა: **ივანე ხანდამაშვილი გაიმუროს** და შემვრეს „ნარების“ (ტატოს) ქვეშ, სადაც უნდა მჯდარიყო იქამდის, სანამ ამხანაგები გამოსვლის ნებას არ მისცემდნენ. **სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში იქმნა მოყვანილი.**

აი ასე იყო საქმე და ყველა ამის შემდეგ ივანე ხანდამაშვილი კიდევა ჭბედავს და თავის გამართლებაზე ოცნებობს. ტყუილად იკატუნებთ თავს, ბ-ნო ივანე ხანდამაშვილო, და მამა აბრამის ბატკანივით ცისაკენ აპყრობთ თვალებს. შესაძლებელია, ჩვენგან დამოუკიდებელ სხვა და სხვა მიზეზისა გამო მეორედ სამედიატორო სასამართლოს დანიშნა ვეღარ მოხერხდეს, მაგრამ ამითი თქვენს სიმართლეს ვერ დაამტკიცებთ, ასეთ საზიზღარ და ადამიანურ ღირსების შემლახავ საქციელს ამნაირის შემწეობით თქვენ ვერ დაჭფარავთ...

**ერთი მედიატორთაგანი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა ქართულად („კარმენი“, მუს. ბიზესი).** თითქმის ყველას, მცოდნეს თუ უცოდინარს, ბიზეს ოპერა გაგებული აქვს და ყველას ამათაგანი მას თავისებურად ითვისებს და იყვარებს. „კარმენი“ ყველასათვის სასიამოვნო ოპერაა. რაც უფრო ხშირად ისმენს მას ადამიანი, მით უფრო ძალიან იტაცებს და ყოველ ახალ მოსმენის დროს რაღაც ახალ-ახალ სასიამოვნო სიმებს, თვისებას აპოვნინებს ხოლმე მასში. ამისთანა თვისება მუსიკისა აიხსნება მხოლოდ მით, რომ იგი გულის სიღრმიდან არის ამოხეთქილი და არა ნაძალადევია. ამისთანა მუსიკა ყოველთვის უკვდავი იქნება და საზოგადოებასაც მიიზიდავს. მაგრამ გუშინწინდელ დღის ბიზეს ოპერის ეს საზოგადო თვისებები არ გვიზიდავდა. „კარმენ“-მა უფრო მით მიქცია ჩვენი ყურადღება, რომ მას ქართულ ენაზედ ქართველის სცენის მოყვარენი ასრულებდნენ. ამისთანა შემთხვევა ჩვენ საზოგადოებას ძალიან იშვიათად ეძლევა ხოლმე და, რა გასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ იგი წარმოდგენის დაწყებას გულის ფანცქალით მოელოდა?

თითოეულს ჩვენთაგანს წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „კარმენის“ შესრულება ჩვენ სცენის მოყვარულთ არ ძალუძთ და ეშინოდა, რომ ამ ოპერის შესრულება სასაცილოდ არ გაეხადნათ. არ შეგვიძლიან თამამადა ვსთქვათ, რომ ჩვენი მოლოდინი სავსებით არ გამართლდა.

ქ-ნმა ან. აბაშიძემ ვერ შეასრულა თავისი როლი ისე, როგორც კარმენს შეეფერება და ვერც შეასრულებდა, რადგან არც ხმა, არც ცოდნა და არც მომზადება ამას ხელს არ უწყობდა: ხმა მეტად სუსტი და გაუნვითარებელი აქვს, ამის გარდა ქ. აბაშიძეს ხშირად ეტყობოდა სუნთქვის სისუსტე, რის გამოც ტეხნიკურ პასაჟებს წმინდად ვერ ასრულებდა და მაღალი ნოტებიც თავის ნორმალურ ზომამდე ვერ მიჰყავდა. მაგალითად, როდესაც საზოგადოებამ გაამეორებინა მეორე აქტის არია, ხმა ისე მიუსუსტდა და ისე დაიღალა, რომ სიბრალულს გამოიწვევდა. მაინც უნდა ვთქვათ, ქ-ნ ან. აბაშიძის სიმღერამ და თამაშობამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

ბ-ნი გედევანიშვილი ძალიან სუსტი ტორიადორი იყო. ხმა მოუხეშავი და ყრუ აქვს. რაც შეეხება თამაშობას, უფერული იყო.

ბ-ნი ნავთიშვილიც (დონხოზე) სუსტი ტენორია: ყელში მღერის, თითქმის სულ დახშული ნოტები აქვს. მაღალ ნოტების აღების დროს ძალიან ბევრ შეცდომას აკეთებს, რაც ხმის ცუდად დაყენებას მიეწერება. ცოტად თუ ბევრად კარგად ჩაატარა თავისი როლი ქ-ნმა რჩეულიშვილისამ.

საზოგადოდ-კი უნდა ვთქვათ, რომ მომღერლებმა, როგორც სცენის მოყვარეებმა, სინდისიერად ჩაატარეს თავიანთი როლები. ანსამბლი და ხორო მწყობრი იყო. მთელ წარმოდგენას მუშაობისა და ცდის ბეჭედი ესვა. ნათლადა სჩანდა, რომ როგორც მომღერლები, ისეც ლოტბარი ძალიან ბევრსა სცდილან საქმის კარგად დასაყენებლად.

ბ-ნმა ზ. ფალიაშვილმა ამ შემთხვევაშიაც აშკარად დაგვანახვა, რომ მას საქმის გასაძღოლად საკმაო ნიჭიც აქვს, უნარიც ცოდნაც და სურვილიც.

**გულის-შემატკივარი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, გორის სამაზრო სატუსაღოს ტუსაღების სახელით, მადლობა გამოვუცხადო გორის სამოქალაქო საკრებულოს მამასახლისებს, რადგან მათ უსასყიდლოდ დაუთმეს დარბაზი, და აგრეთვე ქ-ნთ ბაღაშვილისას, გ. ა. და ე. ა. ივანოვებს, ბ-ნთ საბაკარს, გერენრეიხს, პარკაძეს და ყველა იმათ, ვინც არ დაიშურა თავისი შრომა და დახმარება გაუწია 24 მაისს გამართულ ქ. გორში წარმოდგენას გორის სამაზრო სატუსაღოს სასარგებლოდ. სულ შემოვიდა 133 მან. 50 კ., ხარჯი 41 მან. 25 კაპ. დარჩა 92 მან. 25 კაპ. რომელიც გარდაეცა სატუსაღოს ზედამხედველს ტუსაღების სურვილის თანახმად.

აქვე არ შემიძლიან არ ვაუწყო მკითხველთ შემდეგი; გორის საპყრობილესთან მე დავაარსე წიგნთ-საცავი სამკითხველო. რადგან ამ ჟამად საპყრობილე სავსეა ტუსაღებით, სასურველია წიგნთ-საცავის გაფართოება, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას და მათ შორის რედაქციებს და გამომცემელთ, მოგვაწოდონ წიგნები და გაზეთები.

სატუსაღოს დირექტორი **ალიოშ შიხინოვი**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივნისი

**პეტერბურგი.** საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბელენცოვმა დაამთავრა ვიბორგის მოწოდების საქმის გამოძიება. 180 კაციდან 76 კაცი ჯერ ვერ უპოვნეს. პალატას გადაეცემა საბრალმდებლო ოქმი. შვიდი კაცის შესახებ, რომელნიც დაიმალნენ, საქმე შეჩერებული იქნება. ივნისის განმავლობაში საქმე უთუოდ გადაეცემა პალატას.

**ბეზიე** (საფრანგეთი). არჟელიერის მევენახეთა კომიტეტის სამი წევრი დააპატიმრეს. მარსელენ ალბერტი და კომიტეტის დანარჩენი წევრები ჟანდარმებმა ჯერ ვერ იპოვნეს. არჟელიეს მიდამოში დასწვეს ხის სკამები, რომლითაც ბარიკადების გაკეთების დროს სარგებლობდენ.

**ლისაბონი.** სადგურზე მინისტრ-პრეზიდენტის ფრანკოს წინააღმდეგ ოპოზიციონურმა პარტიამ მტრული დემონსტრაცია გამართა. პოლიციამ დემონსტრატები იარაღით გაჰფანტა. ორი მოკვდა, რამდენიმე კაცი დაიჭრა, 17 კაცი დააპატიმრეს. წესიერება აღდგენილი იქმნა.

**ვარშავა.** დააპატიმრეს 20 ს.-დემოკრატი. წაიღეს 18 ათასი პროკლამაცია, გამოცემული სათათბიროს დათხოვნის გამო.

**დვინსკი.** უცნობმა ახალგაზდა კაცმა ქუჩაში სატუსაღოს უფროსის თანაშემწეს სლისბორსკის ოთხჯერ ესროლა და მძიმედ დასჭრა. ორი კაცი შეიპყრეს.

**ჩერნიგოვი.** ნეჟინის მაზრის სოფ. ვარკიევკაში მოჰკლეს სოფლის მამასახლისი, „რუსის ხალხის კავშირის“ წევრი.

**ლოძი.** პოზნანსკის მანუფაქტურის მუშათა დელეგატებმა, რომელნიც ბერლინში გაემგზავრნენ მანუფაქტურის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად, რომ ფაბრიკა არ დაჰკეტონ. დეპეშა გამოჰგზავნეს. საქმე ჯერ-ჯერობით ცუდად მიდის, მეფაბრიკეთა კავშირი არაფერს არა სთმობს.

**ლოძი.** დრევნოვსკის ქუჩაზე მოჰკლეს იმ მუშა ქალის და, რომელიც რამდენისამე საათის წინად მოჰკლეს. ორი კაცი დააპატიმრეს.

**კიევი.** ლიპოვეცკის მაზრის სოფ. ხეილოვოში ჭარხლის პლანტაციებიდან გლეხებმა გარეკეს სხვა სოფლის მუშები. მოვიდა ისპრავნიკი. სტრაჟნიკებმა დააპატიმრეს ოთხი კაცი. მალე სოფლელებმა მოუყარეს თავი ხალხს, რომელმაც მოიწადინა დაპატიმრებულთა განთავისუფლება, მაგრამ სტრაჟნიკებმა გაჰფანტეს.

**ატკარსკი.** სოფ. შატჩინაში დაიწვა 50 სახლი. ეჭვი აქვთ, რომ ცეცხლი განზრახ წაუკიდეს.

**პენზა.** ნაროვჩატის მაზრის სოფ. ლიაჩში მემამულე ქალის პამფილოვის ტყეს გლეხებმა ჩეხა დაუწყეს. მივიდა ისპრავნიკი სტრაჟნიკებით. გლეხები სარებით შეიარაღებულნი დაუხვდნენ და სტრაჟნიკებს შეუტიეს. სტრაჟნიკებმა ერთი გლეხი მოჰკლეს. მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნა.

ჩემბარის მაზრის სოფ. ნევეჟკინაში საარყე დუქანს ცეცხლი წაუკიდეს. არაყი გლეხებმა დაიტაცეს. მეთაურნი დააპატიმრეს.

**ჩერნიგოვი.** გლუხოვოში უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს გოროდოვოი. ისპრავნიკი სტრაჟნიკებით დაედევნა მკვლელებს და ჭაობში მოამწყვდია, სადაც ერთმა თავი მოიკლა, ხოლო მეორე დააპატიმრეს.

**ვორონეჟი.** მდინარე ვორონეჟში ვიღაც უცნობმა მოჰკლა საიდუმლო პოლიციის აგენტი, რომელიც მის დასაჭერად დასდევდა. ბრბო უცნობს გამოუდგა მაგრამ მან თავი მოიკლა.

**სიმბირსკი.** „ვოლჟსკი ვესტნიკი“-ს რედაქტორი შილცოვი სავალდებულო განკარგულებათა ძალით 500 მანეთით დააჯარიმეს და, რადგან მან ფული ვერ შეიტანა, სამის თვით დააპატიმრეს.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. სხდომის დროს ხორვატებსა და მადიარებს (უნგრელებს) შორის მოხდა შეტაკება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხორვატელი დეპუტატები ველურ ობსტრუქციას სწევენო. თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა. ამ დროსაც მადიარებსა და ხორვატებს შორის ცხარედ ლაპარაკი მოხდა.

**ნარბონნა** (საფრანგეთი). ხალხის მღელვარება ძლიერდება. ქალაქში 10,000 ჯარის კაცია. ხალხი აფიცრებს სტვენითა და ყვირილით ეგებება. მაღაზიები, სახელოსნოები და ბანკები, გლოვის ნიშნად, დაკეტილია.

**ვარშავა.** აღმოაჩინეს პოლონეთის და ლიტვის ს.-დემოკრატების ბიურო; დააპატიმრეს ოცი კაცი. 6 ივნისს მოჰკლეს პროფესიონალური ქურდი და 17 წლის ყმაწვილი, ქურდ ბავშვების ბრბოს მეთაური.

**გროდნო.** ვილნოს გუბერნიის ქალაქ ორანიდან მოიყვანეს მოქალაქე ელინორიჩი, რომელსაც უპოვნეს მთელი ტომარა პროკლამაციებისა. ეს პროკლამაციები ჯარში უნდა გაევრცელებინა.

**ტვერი.** 6 ივნისს სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა.

**აგდი.** (საფრანგეთი). ერთს დეპარტამენტში 500 მემამულე და მუშა, ადგილობრივ კომიტეტის პრეზიდენტის მეთაურობით, არჟელიესკენ გაემართა. მანიფესტანტებმა ხმა მაღლა კლემანსოს წყევლა კრულვას უგზავნიდნენ კომიტეტის წევრების დაპატიმრებისათვის.

**ნარბონნა.** მანიფესტანტებმა განიზრახეს სუპრეფექტურის კარებისთვის ცეცხლის წაკიდება, რათა შენობაში შეჭრილიყვნენ. ჯარი იერიშით მივიდა და $1^1/_2$ საათის შემდეგ ხალხი გაჰფანტა. ჯარმა რამდენჯერმე თოფები გაისროლა. ერთი ჟანდარმი დაიჭრა.

**პარიზი.** ნარბონაში მანიფესტაციამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ჯარმა არა ერთხელ მიიტანა იერიში. ბარიკადებიც გამართეს. ოცი კაცი დაიჭრა, ერთი სასიკვდილოდ. მოკვდა ერთი სალდათი. ბოთლის ნატეხით დაიჭრა მე-139 პოლკის კაპიტანი.

**მონპელიე** (საფრანგეთი). მანიფესტანტებმა განიზრახეს სასამართლოს შენობისათვის ცეცხლის წაკიდება. ჟანდარმები და კავალერიამ იერიში მიიტანა. ერთი ბრიგადირი დაიჭრა. ხალხმა პოლიციას და სალდათებს ქვები დაუშინა. შუაღამეს მანიფესტანტები გაიფანტნენ.

**ლოძი.** ბამბეულის ფაბრიკის პატრონთა კავშირმა დაადგინა, ორი კვირით გადასდოს პოზნანსკის მანუფაქტურის დაკეტვა. ამ ხნის განმავლობაში მუშათა დელეგატებმა მეფაბრიკეთა კავშირს უნდა წარუდგინონ მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო კავშირის ფაბრიკებში ხელმძღვანელთა სიცოცხლის უზრუნველ საყ ფლად.

**ვარშავა.** 6 ივნისს დაიწყო კათოლიკე მწერალთა და პუბლიცისტთა კრება.

**ლოძი.** ვარინსკის და ბირიპაუმის ფაბრიკებში მუშები გაიფიცნენ. პირველმა ქარხანამ მუშებს ანგარიში გაუსწორა, მეორემ კი დაჰკეტა.

**კიევი.** საპიორების მიერ მოკლული შტაბს-კაპიტანი აკულოვი დიდის ამბით დაასაფლავეს. დასაფლავებას დაესწრო გენერ.-გუბერნატორი და აუარებელი ხალხი.

**პეტერბურგი.** მოგილიოვის გუბერნიის ქ. გომელი და გომელის მაზრაში საგანგებო დაცვის წესების ნაცვლად გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს.

არხანგელსკის, ტვერის და იაროსლავის გუბერნატორებს უფლება მიეცათ გამოსცენ სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებანი საზოგადო მყუდროების და წეს-რიგის დასაცველად.

გამოქვეყნებულია სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს მიერ მოწონებული კანონი გამოსაკვებ საქმისათვის ფულის გადადების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ესტატე ავალიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

**ტფილისიდან მიდის**

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. 1) ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელეიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; .—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**რჩევა 50 კ.** ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—90)

ტფილისის კბილის საექიმო

სკოლა

ლ. მეჯლუმიანცისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—12)

საგაბაშვილო-თხინვალის საგარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ

**იყიდება მიწები**

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები კიდევაც დაყოფილია ნაჭრებად და ბეის შემოტანისათანავე ჩაბარდება მყიდველს თავის ზვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და მ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 ს. (15—92—14)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—26)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა

ფეხსაცმელების სახელოსნო

„იმედი“

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა. სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი**

**ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—25) პატივ. **ო. კორონა.**


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.